სახელმწიფო შესყიდვის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №208

დაბა ქედა **02.12 2019 წ.**

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მერის ლევან გორგილაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „მეტალო- გ" (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის გარეგინ მკრტიჩიანის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სოფ. ტიბეთაში წისქვილისათვის 5.კვ.-იანი ელექტრო ძრავის შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი: **CPV3111000.**

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. საქონლის მიღება - ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ქედის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წონიარისიის ადმინისტრაციულ ერთეულში.

3.2.მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.3.საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3.ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დრისათვის.

6.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა ასანაზღაურებელი თანხის 0.2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2(ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

7.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი:

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში:

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს,რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 15 დეკემბრამდე.

10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 15 იანვრამდე.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების,მოსაკრებელის გადახდაზე.

11.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი	შპს ,,მეტალო- გ˜
მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას #3	მისამართი: ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. #35
ტელეფონი: 250000	საიდ. კოდი 445485993
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტი:ს.ს.„ბაქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ანგ. № GE24NB0330100200165022	ა.ა GE54BG0000000661068600
სკ 246762061	დირექტორი
მერი	გარეგინ მკრტიჩიანი
ლევან გორგილაძე	